The Splendor of the Hellenistic Polis and Ideological Causes of its Decline

ელინური პოლისის ბრწყინვალება და მისი დაცემის იდეოლოგიური მიზეზები

Nugzar Abramishvili,

Doctor of Philosophy,
Professor of Gori State Universty
Gori,Chavchavadze st.,#53,1400,Georgia,
+995577151212.nugzarabramishvili@gu.edu.ge
Http ps://orcid.org/0000-0001-5858-7906

David Akhlouri,

Doctor of History, Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract

Such factors as the "Hellenic wonders" of the great Hellenic culture, mentioned by the well-known authors of ancient times, include: a) the exceptional talents of the Hellenes; their profound rationalism and intellectualism, intuitive genius, active vitality, and insatiable curiosity; b) leisure, free time; c) the remarkable mobility of the Greeks; d) the spirit of competition, known as the "agonal soul"; and e) the polis, the polis way of life. A unique feature of the Hellenic soul is also highlighted in this article—an extraordinary aestheticism, which permeated all areas of ancient Greek culture: mythology, philosophy, art, science, education, and even politics (the Hellenes viewed the polis aesthetically and took pleasure in its beauty). Additionally, the Pythagorean factor played a role in rationalizing this characteristic of the Hellenic soul.

Additionally, we consider the education system, which played a crucial role in shaping Hellenic culture, to be both a manifestation of the "Hellenic wonders" and a factor in its creation.

And, of course, the polisan extraordinary cultural phenomenon with its socio-political structures, value system, and way of life. The polis encapsulates the fate of ancient Hellas, explaining both its glory and its eventual downfall.

The Hellenic polis ceased to exist in the 4th century BC. The reasons for its fall were largely political. First came the Peloponnesian War and its consequences—moral decline, the rise of tyranny, and the devastation of the economy. Then, the Macedonian campaigns delivered the fatal blow to the Greek city-states.

However, at the beginning and end of every historical era, religious and philosophical ideas ultimately determine and play a decisive role.

The primary blame for weakening and destabilizing the foundations of the polis is attributed to three intellectual movements: Orphism as a religious-philosophical doctrine, natural philosophy, and the sophistic movement. Orphism challenged the polis by asserting that religion should focus on the salvation of the individual's soul rather than on one's duty to the state. Natural philosophy became dangerous to the polis by concluding that the Homeric gods were mere inventions of human imagination. The sophists further undermined the polis by claiming that laws were not of divine origin, but were created by man and could be easily abolished by human will.

Key words: Mythos; Philosophy; Art; Science; Cosmos; Polis; Aestheticism; Rationalism; Sophism; Orphism; Natural Philosophy.

ნუგზარ აბრამიშვილი,
ფილოსოფიის დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
გორი, ჭავჭავაძის ქ.,53,1400, საქართველო
+995577151212nugzarabramishvili@gu.edu.ge
Http ps://orcid.org/0000-0001-5858-7906

დავით ახლოური,

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი: ანტიკური ხანის ცნობილ მკვლვართა მიერ აღიარებულ, დიადი ელინური კულტურის, ,,ელინური საოცრების“ წარმომქმნელ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ა) ელინთა განსაკუთრებული ნიჭიერება; მოჭარბებული რაციონალიზმი და ინტელექტუალიზმი, გენიალური ინტუიცია, აქტიური სასიცოცხლო ენერგია და ამოუწურავი ცნობისმოყვარეობა; ბ) მოცალეობა, თავისუფალი დრო; გ)ბერძნების განსაკუთრებული მობილურობა; დ) შეჯიბრის სულისკვეთება, ე.წ. ,,აგონალური სული“; ე) პოლისი, პოლისური ცხოვრების წესი; წარმოდგენილ სტატიაში დაემატა ელინური სულის გამორჩეული თვისება, გასაოცარი-ესთეტიზმი, რომელმაც შთანთქა ძველი ბერძნული კულტურის ყველა სფერო: მითოლოგია, ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება, აღზრდა-განათლების სისტემა და თვით პოლიტიკაც კი (ელინი პოლისსაც ესთეტიკურად აღიქვამდა და ტკბებოდა მისი მშვენიერებით) და პითაგორას ფაქტორი, რომელმაც ელინური სულის ამ თვისების საოცარი რაციონალიზაცია განახორციელა. ასევე ,,ელინური საოცრების“, როგორც გამოვლენად, ისე მის წარმომქმნელ ფაქტორად მივიჩნევთ განათლება-აღზრდის სისტემას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ელინური კულტურის ქმნადობის საქმეში და რა თქმა უნდა პოლისი, გასაოცარი კულტურული ფენომენი, თავისი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურებით, ღირებულებათა სისტემით და ცხოვრების წესით. პოლისით უნდა აიხსნას ანტიკური ელადის ბედი, მისი ბრწყინვალებაც და დაცემაც. ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში ელინურმა პოლისმა შეწყვიტა

არსებობა. მისი დაცემის მიზეზები პოლიტიკურიც იყო. ჯერ პელოპონესის ომმა და მისმა შედეგებმა - ზნედაცემულობამ, ტირანიამ და ეკონომიკის ნგრევამ, შემდეგ კი მაკედონელთა ლაშქრობებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს ბერძნულ ქალაქ სახელმწიფოებს, მაგრამ, ყოველი ისტორიული ეპოქის, ყოველი ცივილიზაციის დასაბამსა და დასასრულს რელიგიური და ფილოსოფიური იდეები განსაზღვრავენ და საბედისწერო როლს ასრულებენ. პოლისის საფუძვლების შერყევასა და მოშლაში მთავარი ბრალი მიუძღვის სამ სააზროვნო ნაკადს: ორფიზმს, როგორც რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას, ნატურფილოსოფიას და სოფისტურ მოძრაობას. ორფიზმმა იმის მტკიცებით გამოუთხარა ძირი პოლისს, რომ რელიგია ადამიანის ინდივიდუალური სულის ხსნაზე უნდა ზრუნავდეს და არა სახელმწიფოს წინაშე მის მოვალეობაზეო; ნატურფილოსოფიას ის დასკვნა აქცევდა სახიფათოდ, რომ ჰომეროსის ღმერთები არ არსებობენ, ისინი ადამიანის წარმოსახვის ნაყოფნი არიანო, სოფისტები კი იმის მტკიცებით-კანონებს არავითარი ღვთაებრივი წარმომავლობა არა აქვთ, ისინი ადამიანის მიერ არიან შექმნილნი და ადამიანის ნებითვე ადვილად შეიძლება მათი გაუქმებაო.

საკვანძო სიტყვები: მითოსი, ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება, კოსმოსი, პოლისი, ესთეტიზმი, რაციონალიზმი, სოფიზმი, ორფიზმი, ნატურფილოსოფია.

შესავალი: წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ დიად ელინურ კულტურას, „ელინურ საოცრებას“, მისი გამოვლენის ფენომენებს: მითოსს, ფილოსოფიას, ხელოვნებას, მეცნიერებას, სწავლა-განათლების სისტემას და ყველაზე მთავარს-პოლისს, ელინთა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული თანაცხოვრების საკვირველ ფორმას, რომლის მსგავსიც არ იცის კაცობრიობის ისტორიამ.

შევეხებით, საყოველთაოდ აღიარებულ, დიადი ელინური კულტურის წარმომქმნელ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ელინთათვის დამახასიათებელი არაჩვეულებრივი რაციონალიზმი, ინტელექტუალიზმი და ამოუწურავი ცნობისმოყვარეობა (მოცალეობა); თავისუფალი დრო; აქტიური სასიცოცხლო ენერგია; განსაკუთრებული მობილურობა; შეჯიბრებითობის სულისკვეთება. ამ ფაქტორებს, ჩვენი მხრიდან დავამატებთ ბერძენი ეთნოსისთვის დამახასიათებელ თანდაყოლილ სულიერ სინატიფეს, ესთეტიზმს; აღზრდა-განათლების სისტემას, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ელინური კულტურის ქმნადობის საქმეში და, რა თქმა უნდა პოლისს, რომლითაც უნდა აიხსნას ანტიკური ელადის ბედი, მისი ბრწყინვალებაც და დაცემაც.ელინურ პოლისს განვიხილ ავთ ათენის პოლისის მაგალითზე, რადგან პოლისური ცხოვრების წესმა თავის კლასიკურ დონეს ათენის ქალაქ-სახელმწიფოში მიაღწია. ამ საქმეში დავიხმარებთ თუკი დიდეს, პლატონის იმ დიალოგებს, სადაც დიალოგთა მონაწილე პერსონაჟები ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები და მხე დართმთავრები იყვნენ როგორც ათენის ბრწყინვალების, ისე პელოპონესის ომის პერიოდში. განსაკუთრებით კი პერიკლეს, რომელიც ათენის სიდიადის მომსწრეც იყო და ამ სიდიადის ერთ-ერთი შემოქმედიც.

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების არსებობა ძვ.წ.აღ. IV საუკუნის 30-იან წლებში შეწყდა. მათი დაცემის მიზეზი, რა თქმა უნდა პოლიტიკურიც იყო: ჯერ პელოპონესის ომები, შემდეგ კი-მაკედონელთა ლაშქრობები, მაგრამ ბერძნულ პოლისებს ძირითადად ძირი გამოუთხარა იდეოლოგიურმა ფაქტორებმა. სტატიაში განვიხილავთ სამ სააზროვნო ნაკადს: ორფიზმს, ნატურფილოსოფიას და სოფიზმს, რომლებმაც დამღუპველი გავლენა იქონიეს ბერძენთა პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ზნეობრივ მრწამსზე.

მეთოდები: თემის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოვიყენეთ ისტორიულ-კრიტიკული და ჰერმენევტიკული მეთოდები.

შედეგები: კვლევის შედეგად დადგინდა, რომ, მართალია ჯერ პელოპონესის ოცდაშვიდ წლიანმა ომმა, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა მთელი ელადა, ურიცხვი უბედურება დაატეხა თავს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს, სისხლისგან დაწრიტა, ზნეობრივად გადააგვარა და ბოლო მოუღო მეომარი მხარეების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებას, ხოლო შემდეგ მაკედონელთა ლაშქრობებით საბოლოოდ ჩაესვენა ქალაქ-სახელმწიფოების მზე, მაგრამ ამ პოლიტიკურმა მიზეზებმა შეუბრალებლად დაასრულეს პოლისთა დაცემის ის პროცესი,რომელიც უკვე კაი ხნის დაწყებული იყო.

ყოველი ისტორიული ეპოქის, ყოველი ცივილიზაციის დასაბამსა და დასასრულს რელიგიური ან ფილოსოფიური იდეები განაპირობებს. ისინი საბედისწერო როლს ასრულებენ.

ქალაქ-სახელმწიფოს საფუძვლებს ძირი გამოუთხარა სამმა სააზროვნო ნაკადმა: „ორფიზმმა“, „სოფიზმმა“ და „ნატურფილოსოფიამ“.

პოლისის საძირკველი ჰომეროსიდან და ჰესიოდედან მომდინარე ტრადიციული რელიგიით იყო გამაგრებული. პოლისი და რელიგია სრულად იყვნენ გაიგივებული ერთმანეთთან. გაბატონებულ რელიგიაში ეჭვის შეტანა ნიშნავდა პოლისის წესწყობილებასა და კანონებში დაეჭვებას. ორფიზმი რადიკალურად დაუპირისპირდა ტრადიციულ რელიგიას. ამ მოძღვრების მიხედვით რელიგია ადამიანის ინდივიდუალური სულის ხსნაზე უნდა ფიქრობდეს და არა სახელმწიფოს წინაშე მის მოვალეობაზე.

ნატურფილოსოფია იმ დასკვნამ აქცია სახიფათოდ, რომ ღმერთები ან საერთოდ არ არსებობენ ან შეუძლებელია არსებობდნენ ჰომეროსულ ტრადიციაში შემონახული ფორმითო.

სოფისტებმა კი იმის მტკიცებით შეარყიეს პოლისის საფუძვლები, ქალაქის კანონებს არავითარი ღვთაებრივი სანქცია არ გააჩნიათ, ისინი ადამიანებისგან არიან შექმნილნი, ანუ ნაკლოვანნი არიან, და მათივე ხელით ადვილად შეიძლება მათი გაუქმებაო.

მსჯელობა-სტატია ანტიკური ხანის ბერძნებზეა-ელინებზე. მათ მიერ შექმნილი ფენომენალური და განუმეორებელი კულტურის „ელინური სასწაულის“, წარმომქმნელ პირობებსა და მისი დაცემის იდეურ მიზეზებზე.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ დასაწყისში ნახსენები ლათინური წარმოშობის სიტყვა „ანტიკური'' ძველს ნიშნავს, მაგრამ ჩვენ ამ ცნების ქვეშ ვგულისხმობთ არა ყველა ძველ ცივილიზაციას, არამედ მხოლოდ ორს: ძველ ბერძნულს და რომაულს. ძველ შუამდინარულ, ეგვიპტურ, ინდურ, ჩინურ და ირანულ ცივილიზაციებს ვმიჯნავთ ელინურისგან, რადგან ამ უკანასკნელის სახით პირველად დაიბადა დასავლური ტიპის ცივილიზაცია-პოლისური ცივილიზაცია. ალექსანდრეს ლაშქრობების შემდეგ წარმოშობილი ელინისტური ცივილიზაციაც, რომელმაც ახალი სახე შესძინა ანტიკურობას ასევე ძველი ბერძნების მიერ იყო შექმნილი, მაგრამ ის უკვე აღარ იყო პოლისური ცივილიზაცია. ანტიკური ხანის ბერძნების წვლილი მსოფლიო, განსაკუთრებით კი ევროპული კულტურის განვითარებაში კოლოსალურია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არცერთ ეთნოსს არ გაუმდიდრებია მსოფლიო კულტურის საგანძური ისეთი მარადიული ღირებულების მქონე ფილოსოფიური და მეცნიერული იდეებით, ხელოვნების შედევრებით, დღემდე რომ ინარჩუნებენ ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას, როგორც ეს ძველმა ბერძნებმა შესძლეს. კულტურის ნებისმიერ სფეროში ელინთა მიღწევები იყო ფენომენალური. ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ცნობილი მკვლევარები: ისტორიკოსები კულტუროლოგები,

ფილოსოფოსები ,,იძულებულნი“ არიან მიმართონ ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა ,,ბერძნული საოცრება“,,ელინური სასწაული“და ჩვენი სტატიის სათაური აქ ტრანსფორმირდება შემდეგ კითხვებად: ა)როგორია ამ სასწაულის კონკრეტული შინაარსი, ბ)როგორ სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ ატმოსფეროში აღმოცენდა ის და გ) რა გახდა მისი დეგრადაციისა და დაცემის მიზეზი. და ჩვენ ეხლა ამის განხილვას შევუდგებით:

მითოლოგია: ისტორიული განვითარების რა ეტაპზეც არ უნდა იყოს, ადამიანს არ შეუძლია იარსებოს აუხსნელ, გაურკვეველ, იდუმალ სამყაროში. მან სამყაროში თავი ისე უნდა იგრძნოს როგორც საკუთარ სახლში. თავდაპირველად ადამიანმა მითოსურად ახსნა სამყარო. არ დარჩენილა არც ერთი ხალხი ტრობრიანდრიის კუნძულების მკვიდრთაგან დაწყებული კანადელ ესკიმოსებამდე, რომ არ შეექმნათ თავიანთი მითოლოგიური წარმოდგენები სამყაროზე. მაგრამ სულ სხვაა ბერძნული მითოლოგია. ძველმა ბერძნებმა შექმნეს პოეტურობით, მხატვრულობით, სინატიფითა და დახვეწილობით განუმეორებელი მითოლოგია, რომელშიც მთლიანად დომინირებს მხატვრული წარმოსახვა. ,,ესაა პოეტურ-მეტაფორული აზროვნება, სადაც შემეცნებითი ასპექტი მხატვრულითაა გაჯერებული და გადაფარული. აქ ხელოვნების მაფორმმებელი ძალა ემთხვევა მითოსის შემქმნელ ძალას“ **(კასირერი, 1983:126).** ბერძნული მითოლოგიის სახით ჩვენს წინაშეა დიადი მითოლოგიური ქმნილებები, რომელთაც საზრისისეული სიღრმით, მუდმივობით, უნივერსალურობით, საოცარი ტრანსფორმაციის უნარითა და ახლებური შემოქმედებითი გაფორმების შესაძლებლობით, ბადალი არ ჰყავს საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. ბერძნული მითოლოგია არა მარტო ელინური, არამედ მთელი შემდგომი ევროპული კულტურის არქეტიპულ საფუძველს წარმოადგენს.ბერძნული მითოლოგია იყო პოეტების, მხატვრების, სკულპტორთა, მწერალთა, კომპოზიტორთა შთაგონების წყაროც და სიუჟეტური მასალაც, ჰომეროსიდან დაწყებული ესქილეთი, სოფოკლეთი, ევრიპიდეთი, ვერგილიუსით, დანტეთი, მიქელანჯელოთი „ლეონარდო დავინჩით, ტიციანით, რაფაელით, გოეთეთი, შილერით, შექსპირით, ბაირონით გაგრძელებული, დიკენსითა და ჯეიმს ჯოისით დამთავრებული. ბერძნული მითოლოგია თავისი ერთ-ერთი გმირის ორფეოსის მოკვეთილი თავივით სიკვდილის შემდეგაც განაგრძნობს სიმღერას და თავისი მშვენიერი მელოდიით და მხატვრული წარმოსახვის ძალით განმსჭვალავს მთელ ევროპულ კულტურას.

ფილოსოფია: აქ წარმოიშვა ფილოსოფია ცოდნისა და კულტურის უმთავრესი დარგი. აქ მოხდა ადამიანის ინტელექტუალური ენერგიის საოცარი „აფეთქება“. ადამიანი, რამდენადაც ის ადამიანია აუცილებლობით და თან მარადიულად დგება ისეთი კითხვების წინაშე, როგორიცაა: რას წარმოადგენს სამყარო მთლიანობაში და რა არის მისი არსებობის საფუძველი? რის ან ვისი წყალობით ეზიარება სამყარო წესრიგსა და ჰარმონიას? უკვდავია თუ არა ჩვენი სული და როგორია მარადისობასთან ზიარების შანსები? ვართ თუ არა თავისუფალნი ჩვენს ქცევა-მოქმედებაში თუ სხვა არსებებივით აუცილებლობისა და ბედისწერის ძალები წარგ ვმართავენ? არსებობს თუ არა სამყაროს უზენაესი მიზეზი- ღმერთი, თუ ბუნების საგნები და მათი წესრიგი წარმოადგენს უკანასკნელ ინსტანციას,რაზეც უნდა შევჩერდეთ ჩვენი შემეცნების პროცესში? როგორია სამყაროს მთელში ჩვენი ადგილი და რა არის ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტი საზრისი, სიცოცხლის მიზანი?.. ნებისმიერი ცივილიზაცია ჭეშმარიტების ძიებას ისახავს მიზნად. ყველა ძველ ცივილიზაციაში, გარდა ერთისა, ამ კითხვებზე პასუხებს რელიგიური ლიდერები იძლეოდნენ; მაგალითად ქურუმები-ძველ ეგვიპტეში, მაგები-სპარსელებსა და მიდიელებში, მოგვები-შუა მდინარეთში, წინასწარმეტყველნი-ებრაელებში. ცოდნა, შემეცნება, ჭეშმარიტება მხოლოდ რჩეულთა, ღვთაებრივი ზეშთაგონების მქონე და ღმერთის მიერ ხელდასმულ ერთეულთა პრივილეგია

იყო და მათგან მომდინარე ცოდნას ყველა იღებდა და აღიარებდა,როგორც უდავო ჭეშმარიტებას. ერთადერთი გამონაკლისი იყო ბერძნული ცივილიზაცია. ბერძნებმა მოახდინეს უდიდესი აღმოჩენა, რომელიც ოდესმე მოუხდენია ადამიანს. მათ აღმოაჩინეს გონების ძალამოსილება, უნივერსალურობა. ყოფიერების საიდუმლოებათა კვლევისას ბერძნული გენია რწმენას კი არ ეყრდნობო და, არამედ - გონებას, სამყაროს შემეცნების ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს. ძველ საბერძნეთში აღმოცენდა სინამდვილის ფილოსოფიური გააზრების ყველა სახე: მეტაფიზიკა, გნოსეოლოგია, ლოგიკა, ეთიკა, პოლიტიკა, ესთეტიკა,და აქვე მიაღწია განვითარების კლასიკურ დონეს. ბერძნულ ფილოსოფიას ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორირიცაა: პითაგორა, ჰერაკლიტე, პარმენიდე, დემოკრიტე, ანაქსაგორა, განსაკუთრებით კი სოკრატე, პლატონი და არისტოტელე. ჩვენს თვალწინ იშლება წარუვალი ღირებულების მქონე ფილოსოფიური იდეების მთელი სამყარო. ძველი ბერძნული ფილოსოფია განწონის არა მარტო მსოფლიო ფილოსოფიას, არამედ მსოფლიო კულტურასაც. ელინური ფილოსოფიის შემდეგ აღმოცენებული მსოფლიო რელიგიები ცდილობდნენ თავის მხარეს გადაებირებინათ ის, რათა მისი მეშვეობით დაეფუძნებინათ თავიანთი სარწმუნოება, და ამ მხრივ აღწევდნენ კიდეც წარმატებას. ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის უაიტჰედის მოხდენილი შედარებით „მთელი შემდგომი ეპოქების ფილოსოფია სხვა არაფერია თუ არა პლატონის დიალოგების კაბადონებზე მიწერილი კომენტარები“. ხელოვნება-ძველი წელთაღრიცხვით VI-V-IV საუკუნეები ესაა კლასიკური პერიოდი ელინური კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. ესაა ბერძნული დრამის, არქიტექტურის, სკულპტურის, ფერწერის, ვაზებზე მხატვრობის, მჭერმეტყველების აყვავება-გაფურჩქვნის პერიოდი. ესაა ხელოვნების ის დარგები, სადაც ბერძნებმა შექმნეს მშვენიერების მარადიული ნიმუშები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას.

ბერძენ-სპარსელთა ომებში ბერძნების ბრწყინვალე გამარჯვებამ წარმოაჩინა პოლისის სიძლიერე, სიცოცხლისუნარიანობა და უპირატესობა. დაიწყო ტაძრებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების არქიტექტურულ ნაგებობათა ფართო მშენებლობის პერიოდი, მონუმენტალურ ფრესკათა და სკულპტურათა შექმნა, რომლებიც წარმოაჩენდნენ ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს ძალამოსილებას და მნიშვნელობას, წარმოაჩენდნენ ადამიანის ღირსებას, სიდიადეს და მშვენიერებას. ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე; მირონი, ფიდიასი, პოლიკლეტე, პრაქსიტელი, ლისიპოსი, სკოპასი, აი იმ გენიოსთა სახელები, რომელთა შემოქმედებაში ხელოვნება თავის მწვერვალებს აღწევს. განსაკუთრებული ძალა გამოაჩინა ბერძენმა ეთნოსმა პოეზიაში, რომლის ისტორიული ევოლუცია დაიწყო ჰომეროსის ეპოსით, რათა შემდეგ, ლირიკის მეშვეობით, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს და არისტოფანეს დრამატურგიაში თავისი განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიეღწია. ბერძნული ეპოსი იყო ბერძნული პოეზიის ძირი, ხოლო ბერძნული დრამა-ამ პოეზიის მწვერვალი.

ზემოთ ნახსენები დიადი სახელები არა მარტო დიდი შემოქმედნი, არამედ, ასევე, ხელოვნების დიდი რეფორმატორებიც იყვნენ. მათ არქაული პერიოდის პრიმიტიული გამომსახველობითი ფორმები შეცვალეს რეალისტური გამომსახველობითი ფორმებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სიდიადის, ამაღლებულის, სიმშვიდის, სიბრძნის, სიკეთის, მოძრაობის, ადამიანის გრძნობებისა და განცდების გამოსახვას. განხორციელდა არქიტექტურისა და სკულპტურის საოცარი სინთეზი. ბერძნები დაესესხნენ რა ფინიკიელებს, პირველნი მსოფლიო ხალხთა შორის, გადავიდნენ სრულყოფილ ანბანურ დამწერლობაზე და დღეს მოქმედ ანბანურ დამწერლობებს ერთი წინაპარი ჰყავთ-ბერძნული ანბანი. მათ ჩაუყარეს

საფუძველი ევროპულ თეატრს, გამოიგონეს ორატორული ხელოვნება, შექმნეს უმეტესობა დღეს მოქმედი ლიტერატურული ჟანრებისა. შეიმუშავეს და უმაღლეს ხარისხში აიყვანეს ღირებულებათა ის სისტემა, რომელიც ევროპის სულიერი ცხოვრების მაორიენტირებელი გახდა. მეცნიერება: განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბერძნული მეცნიერების სხვადასხვა დარგის-მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის თუ ბიოლოგიის განსაცვიფრებელი მიღწევები. „ძვ.წ.აღ. VI-V საუკუეებში საბერძნეთში ცნობილი იყო ხუთი სამედიცინო სკოლა-როდოსული, კირენული, კროტონული, კნიდოსური და კოსური“ **(Ковнер, 1978:176).** ჰიპოკრატემ გონების იშვიათი გამჭრიახობის, დაკვირვების უბადლო უნარის და ანალიტიკური ნიჭის წყალობით მეცნიერულ დისციპლინად აქცია მედიცინა და ბიოლოგია. და აქ გვერდს ვერ ავუვლით პლატონის აკადემიას, მთელი ელადის სამეცნიერო ცენტრს, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა არა მარტო ფილოსოფოსები, არამედ ზუსტ მეცნიერებათა უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები. რომ აღარაფერი ვთქვათ მათემატიკის გენია პითაგორაზე, მათემატიკის მეცნიერების განვითარება თავის აპოგეას აღწევს დიდი მათემატიკოსების: არქიტა ტარანტელის, ევდოქსი კნიდოსელის, თეეტეტისა და ევკლიდეს მეშვეობით. „არქიტამ პირველმა მოაწესრიგა და მათემატიკურ საფუძველზე დააფუძნა მექანიკა. მან პირველმა დაიყვანა მექანიზმების მოძრაობა გეომეტრიულ ნახაზზე. მან ნახევარცილინდრის კვეთის მეშვეობით გამოიყვანა ორი საშუალო პროპორციული კუბის გასაორმაგებლად, ხოლო გეომეტრიაში პირველმა აღმოაჩინა კუბი“ **(Лосев,1 977:50).** არქიტა არა მარტო ცნობილი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი, არამედ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და ძლევამოსილი მხედარმთავარიც იყო. ტარენტის მოქალაქეებმა ის შვიდჯერ აირჩიეს სტრატეგად და არც შემცდარან. თავისი სტრატეგობის მანძილზე არქიტას არ წაუგია არც ერთი ომი.

თეეტეტს მიეწერება ირაციონალობის ის თეორია, რომელიც გადმოცემულია ევკლიდეს „საწყისების“ მეათე წიგნში. მის სახელთანაა დაკავშირებული პროპორციულობის თეორიის განვითარება და ხუთი წესიერი მრავალწახნაგა სხეულის გეომეტრიული თვისებების კვლევა. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ევკლიდეს ,,საწყისების“მნიშვნელობა ზოგადსაკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიაში. ,,დასავლური სამყაროს ისტორიაში ,,საწყისებს“ ბიბლიის შემდეგ, ყველაზე ხშირად აქვეყნებდნენ და ყველაზე გულმოდგინედ სწავლობდნენ. ის გეომეტრიის შესწავლის ძირითადი წყარო იყო. ევკლიდეს ტრადიცია დღემდე განსაზღვრავს განათლებას. მან უფრო მეტი გავლენა მოახდინა მეცნიერული აზრის განვითარებაზე, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ქმნილებამ“ **(Строик, 1984:68).** მათემატიკოსთა შორის, რომლებიც პლატონის აკადემიაში აღიზარდნენ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო ევდოქსე კნიდოსელი. მათემატიკოსი, ასტრონომი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, ფილოსოფოსი, მედიკოსი. პლატონის ყველაზე საყვარელი მოსწავლე. სპარტის მეფის აგესილაოსის მიერ ფარაონ ნექტანებისთვის მიწერილი სარეკომენდაციო ბარათით ის თავის მასწავლებელ პლატონთან ერთად ეგვიპტეში ჩავიდა, სადაც ისინი ჰელიოპოლისელი ქურუმების მეშვეობით ეზიარნენ ეგვიპტური ასტრონომიის მიღწევებს. ევდოქსემ, არქიტასა და თეეტეტის კვალდაკვალ დიდი წვლილი შეიტანა პროპორციულობის თეორიის განვითარებაში. მან ჩამოაყალიბა ფარდობათა უზადოდ მკაცრი თეორია, რომელიც ევკლიდეს ,,საწყისების“მეხუთე წიგნშია გადმოცემული. ამ თეორიის მთელი სიღრმე მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაფასდა. ,,ფარდობათა ევდოქსესეულმა თეორიამ უკან მოიტოვა პითაგორელთა არითმეტიკული თეორია, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ თანაზომად სიდიდეებთან მისადაგებით. ეს იყო პირწმინდად გეომეტრიული თეორია,

მკაცრად აქსიომატური ფორმით გადმოცემული და მან ზედმეტი გახადა ყოველგვარი დაზუსტება განსახილველ სიდიდეთა თანაზომადობა - არათანაზომადობასთან დაკავშირებით. ირაციონალური რიცხვის თანამედროვე თეორია თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ევდოქსეს აზრთა დინებას“ **(Стройк, 1984:64).** ანტიკური ხანის ასტრონომთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა არისტარქე სამოსელი, რომელიც, პლატონთან ერთად, კოპერნიკზე ლამის ორიათასი წლით ადრე, ჰელიოცენტრული სისტემის პირველ აღმომჩენად შეიძლება მივიჩნიოთ. ციურ სხეულებზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და რთული გეომეტრიული აგებების წყალობით არისტარქე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მზის მოცულობა განუზომლად აღემატება დედამიწისას. თუ მზე ბევრად დიდია დედამიწაზე, უფრო მართებულია ვივარაუდოთ, რომ მზე კი არ ბრუნავს დედამიწის გარშემო, არამედ პირიქით დედამიწა ბრუნავს მზის ირგვლივ. „რაც შეეხება სფეროსებრ დედამიწას, ჩვენს მარჩენალს და ძიძას, თავის ღერძის ირგვლივ რომ ბრუნავს“ **(პლატონი, 1994:299).** როგორც არქიმედე გვიმოწმ ებს, სწორედ ასე გაიაზრებდა არისტარქე სამყაროს რეალურ სურათს, ამიტომაც იყო, რომ მას მკრეხელობაში დასდეს ბრალი და მშობლიური ქალაქიდან გააძევეს. პლატონს არ დაუწერია საგანგებო ასტრონომიული ტრაქტატი, მაგრამ მისი მრავალი დიალოგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სამყაროს მისეულ ხედვაზე. ,,სახელმწიფოს“ მეექვსე წიგნში, როცა პლატონი ერთმანეთისგან მიჯნავს გონით საწვდომ იდეალურ სამყაროს გრძონბებით საწვდომი რეალური სამყაროსგან. ასაბუთებს „რა ადგილიც უკავია და რასაც ნიშნავს სიკეთის იდეა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ, იმავეს ნიშნავს და ისეთივე ადგილი უკავია მზეს ხილული სამყაროს მიმართ“ **(პლატონი, 2003:246).** არადა სიკეთის იდეა, პლატონის ფილოსოფიაში იდეალური სინამდვილის ცენტრალური იდეაა, ხოლო მზე მისი ხილული ხატი.

„კანონების“ მეშვიდე წიგნში პლატონი გაამჟღავნებს თავის დიად აღმოჩენას, ჰელიოცენტრულ იდეას, რომელიც თავისი მნიშვნელობით და მეცნიერული ღირებულებით ანტიკურობის ყველა ასტრონომიულ ტრაქტატს გადაწონის. ,,მცდარია აზრი მზის, მთვარის და სხვა მნათობთა ხეტიალის შესახებ. სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. თითოეული მათგანი მხოლოდ ერთ გზას გადის, მხოლოდ ერთ წრიულ მოძრაობას ასრულებს და არა მრავალს, თუმცა ისე ჩანს, თითქოს მრავალი მიმართულებით მოძრაობდეს. ხოლო ის მნათობი, რომელიც ყველაზე სწრაფად მოძრაობს, ჩვენ მცდარად გვეჩვენება, ყველაზე ნელა მოძრავად, და პირიქით, ყველაზე ნელა მოძრავი ყველაზე სწრაფი გვგონია. ასე დააწესა ბუნებამ, ჩვენ კი სხვა აზრზე ვდგევართ“ **(პლატონი, 1994:92).** პლატონის „ტიმეოსს“ თუ გაეცნობი, არ შეიძლება არ გაგაოგნოს გენიალურ ინტუიციათა და მიგნებათა უკიდეგანო ოკეანემ. მაგრამ ადგილის სიმცირის გამო ნათქვამით დავკმაყოფილდები და საილუსტრაციოდ მოვიყვან თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფიზიკოსის ვერნერ ჰაიზენბერგის მოსაზრებას, რომელსაც იზიარებენ აინშტაინი, შროდინგერი და ნილს ბორი: „მხოლოდ დიდი მათემატიკოსისა და ბუნებისმეტყველის იშვიათ ნიჭთან ორგანულად შერწყმულ გენიალურ ინტუიციას თუ შეეძლო ესოდენ ღრმად შეჭრილიყო მიკრონაწილაკთა იდუმალ სამყაროში და ჩამოეყალიბებინა თავისი სირთულითა და სითამამით გამაოგნებელი მეცნიერული ჰიპოთეზა. პლატონის მიკრონაწილაკთა თეორია თანამედროვე ატომური ფიზიკის თვალსაზრისს უახლოვდება“ **(Гаизенберг, 1963:48).** მიგვაჩნია, რომ ,,ელინური საოცრების“ გამოვლენის უმნიშვნელოვანეს ფენომენებად, მითოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნების და მეცნიერების გვერდით უნდა დასახელდეს ელინური განათლება-აღზრდის სისტემა და ყველაზე მთავარი, პოლისი ,ელინთა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული თანაცხოვრების საკვირველი ფორმა,რომლის მსგავსიც არ იცის არც

მანამდელმა და არც შემდგომმა ისტორიამ, მაგრამ, რადგან ეს ორი ფენომენი, ამავე დროს, წარმოადგენს ელინური კულტურის ფუნდამენტალურ საფუძველს, მის წარმომქმნელ და ამხსნელ პრინციპს, ამიტომ მათ ქვემოთ, სათანადო ადგილზე შევეხებით. ანტიკური ხანის მკვლევართათვის ელინური კულტურის ფენომენი მუდამ ითვლებოდა ერთ-ერთ უდიდეს პარადოქსად. და მართლაც, ძნელია რაციონალურად აიხსნას, ისტორიული განვითარების ასეთ ადრეულ ეტაპზე გონითობის ასეთი ,,აფეთქება", სულიერების ასეთი აღმაფრენა. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ელინური საოცრების ამხსნელ პრინციპს ხედავს ძველ ბერძენთა განსაკუთრებულ ნიჭიერებაში: იმ დროისთვის არაჩვეულებრივად მოჭარბებულ რაციონალიზმსა და ინტელექტუალიზმში, ეთნოსისთვის თანდაყოლილ სულიერ სინატიფეში, აქტიურ სასიცოცხლო ენერგიასა და ამოუწურავ ცნობისმოყვარეობაში. მეორე რიგი მკვლევარებისა ელინურ ცივილიზაციას უწოდებს ,,მოცალეობის, თავისუფალი დრო ის ცივილიზაციას"და ამით ხსნის მის მიღწევებს და სრულქმნილებას. როგორც ჩანს, ისინი ამოდიან არისტოტელეს მოსაზრებიდან. არისტოტელე „მეტაფიზიკაში" როცა ეხება ბერძნული კულტურის, კერძოდ კი ,ფილოსოფიის წარმოშობის მიზეზებს ამბობს: ,,ის იყო ფიზიკურ კეთილდღეობასა და მოცალებას მიღწეული ეპოქის ნაყოფი"**(არისტოტელე, 1964:27).** ანტიკურ საბერძნეთში, ცხოვრების ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში ყოველდღიური შრომით დაკავებულნი იყვნენ მონები. თავისუფალი მოქალაქენი კი ჭარბად ფლობდნენ თავისუფალ დროს, მოცალეობას, რამაც ნაყოფიერი პირობები შეუქმნაო შემოქმედებით შრომას და სულიერი კულტურის განვითარებას. სხვანი „ბერძნული საოცრების" წინაპირობად მიიჩნევენ ბერძნების განსაკუთრებულ მობილურობას. ბერძნები სხვა ყველაფერთან ერთად დიდი ვაჭრები და მოგზაურებიც იყვნენ. ბევრი განსკუთრებით კი კულტურის სფეროს წარმომადგენლები ხშირად მიემგზავრებოდნენ შორეულ და ხანგრძლივ მოგზაურობაში, გადადიოდნენ ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში, ეცნობოდნენ აზიის მცხოვრებთა ადათ-წესებს, რელიგიას, კულტურას, სახელმწიფო წყობილებას და იფარ თოებდნენ თვალსაწიერს. ზოგი მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ელინისთვის დამახასიათებელ შეჯიბრის სულისკვეთებას, ე.წ. „აგონალურ სულს". ელინთა ხასიათის ეს თავისებურება აშკარაა. მას პირველმა ყურადღება მიაქცია დიდმა შვეიცარიელმა მეცნიერმა იაკობ ბურკჰარდტმა, რომელსაც ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომი ,,ბერძნული კულტურის ისტორია". რაც არ უნდა ეკეთებინათ ბერძნებს ყველაფერში: სპორტში, ომში, პოეზიაში, დრამატურგიაში, სიმღერაში, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრაში, ფერწერაში, სკულპტურაში, არქიტექტურაში, ყველაფერში... სპორტული ჟინით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ძირითადად უანგაროდ, უბრალოდ სიამაყისთვის, ღირსებისთვის, გამარჯვებით ტკბობისთვის. აღარ მახსოვს სად მაქვს წაკითხული ჰეროდოტესთან თუ პლუტარქესთან, ერთხელ ათენს ეგვიპტელი ელჩები ესტუმრნენ. ბერძნებმა საპატიო სტუმრები ოლიმპიურ შეჯიბრზე წაიყვანეს. ეგვიპტელები გაოგნებულნი უყურებდნენ შეჯიბრის მონაწილეებს, მათ ვერ გაიგეს, ვერ ჩაწვდნენ სპორტული შეჯიბრის სულისკვეთებას.

ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ მოსაზრებების ერთი ნაწილი, რომლებიც ცდილობენ ახსნან „ელინური სასწაულის"წარმოშობის საიდუმლო. ჩვენი მხრიდან ვიტყვით, რომ ყველა ეს მოსაზრება სწორია სწორად წარმოაჩენს ელინური კულტურის წარმომქმნელ ფაქტორებს. ეს ფაქტორები ერთმანეთს ავსებენ, მაგრამ მთავარს, პრინციპულ მიზეზებს ყურადღების გარეშე სტოვებენ. წარმოდგენილი სტატია იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ელინური სასწაული მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ბერძენი ეთნოსის განსაკუთრებული, თანდაყოლილი ნიჭიერებით. მათ შექმნეს გენიალური კულტურა იმიტომ, რომ თვითონ იყვნენ გენიალურნი. მაგრამ ეს განმარტება ძალიან ზოგადია და არადამაკმაყოფილებელი.

თანაც სიტყვებს: თანდაყოლილი გენიალური ნიჭი“, „სასწაული“, „საოცრება“ ირაციონალური ელფერი აქვს, რომლის წინაშეც მეცნიერება უნდა დადუმდეს. არადა საჭიროა მათი რაციონალიზაცია, კონკრეტული შინაარსით წარმოდგენა, რასაც ეხლა შევუდგებით: ამ გზაზე შედგომაში ერთგავარ ინსპირატორად მოგვევლინა პერიკლეს სიტყვა წარმოთქმული ძვ.წ.აღ. 431 წელს პელოპონესის ომის პირველივე ბრძოლაში დაღუპული ათენელების დაკრძალვის ცერემონიაზე. (პერიკლეს ამ სიტყვას, რომელიც სრულადა აქვს თუკიდიდეს თავისი ,,ისტორიის“ მეორე წიგნში წარმოდგენილი, მოგვიანებით უფრო ვრცლად დავუბრუნდებით) პერიკლე, თავის სიტყვაში, წარმოაჩენს რა ათენელთა და ათენის პოლისის უპირატესობას და აღმატებულობას სხვა ხალხებსა და სახელმწიფო წყობაზე, ელინთა დამახასიათებელ ერთ-ერთ თვისებად ასახელებს შემდეგ რამეს: ,,ჩვენ ყოველდღიურად ვავითარებთ ჩვენში, ჩვენთვის ბუნებით დამახასიათებელ მშვენიერების ნიჭსა და გრძნობას“ **(ფუკიდიდ, 2022:8)**. ელინური სულის გამორჩეულ თვისებად და თანდაყოლილ ნიჭად უნდა დასახელდეს გასაოცარი ესთეტიზმი. ესთეტიზმმა შთანთქა ძველ საბერძნეთში კულტურის ყველა სფერო: მითოლოგია, ფილოსოფია, ხელოვნება, აღზრდა-განათლების სფერო თვით პოლიტიკაც კი. (ელინი თავის პოლისს ისე აღიქვამდა,როგორც ხელოვნების ქმნილებას და ტკბებოდა მისი მშვენიერებით). თუ ძველი შუამდინარელი, ეგვიპტელი, სირიელი, ფინიკიელი, ქართველი ბუნებასთან რელიგიურ დამოკიდებულებაში მყოფი, აღმერთებდა ცის მნათობებს, ბუნების სხვადასხვა მოვლენებს,შიშით და მოკრძალებით ევედრებოდა მათ და ზოგჯერ შვილებსაც კი სწირავდა მსხვერპლად, ბერძენმა შესძლო უფრო თამამი, თავისუფალი მიმართება დაემყარებინა ბუნების მიმართ. ბერძენი არ შეუშინდა ბუნებას: პირველად კაცობრიობის ისტორიაში გაბედა თვალი გაესწორებინა მისთვის და ,,აღმოაჩინა“, რომ მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ბუნების სხვადასხა სტიქიონები მშვენიერ სანახაობას წარმოადგენენ, რომ სამყარო არის „კოსმოსი“, ანუ ჰარმონიული და მშვენივრად მოწესრიგებული მთელი და ის ადამიანისგან ითხოვს არა შიშზე დაფუძნებულ რელიგიურ თაყვანისცემას, არამედ ესთეტიკურ ცქერას და ტკბობას. ,,თუ იუდეველი ქრისტიანიანდა მუსლიმი ღმერთის აღიარებით იწყებს და შემდეგ მიაწერს მას ისეთ პრედიკატებს, როგორიცაა: მშვენიერი, კეთილი, ჭეშარიტი ან სამართლიანი...ელინი ღმერთის აღიარებით კი არ იწყებდა და შემდეგ კი არ მოყვებოდა ატრიბუტების: მშვენიერის, კეთილის და სამართლიანის ჩამოთვლას. ბუნების და ცხოვრების მოვლენებით გამოწვეული ღრმა შთაბეჭდილება წამოაძახებინებდა, მშვენიერება ღმერთია, სამართლიანობა ღმერთია.... თუ ქრისტიანი იტყვის: ღმერთი მშვენიერებაა, სიყვარულია, ბერძენის თვალსაზრისით მშვენიერებაა ღმერთი, სიყვარულია ღმერთი...'' **(გათრი, 1983: 28-29).** ეს სულიერი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კულტურის, ხელოვნების გაფურჩქვნა-აყვავებას ძველ საბერძნეთში. ელინური სულის ამ თვისების, და საერთოდ ესთეტიკურის, საოცარი რაციონალიზაცია განახორციელა პითაგორამ. პითაგორას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ორფიზმის მისტიკურმა მოძღვრებამ აპოლონისა და მუზების კულტითა და სულის ზნეობრივი კათარზისით, რომლის მთავარ საშუალებად ითვლებოდა უანგარო ჭვრეტა და ხელოვნება. პითაგორამ პირველმა შენიშნა, რომ სამყარო კოსმოსია, ანუ მშვენიერი, ჰარმონიულად მოწესრიგებული მთელი, (სხვათაშორის ცნება ,,კოსმოსი“ პითაგორას შემოტანილია კულტურულ სივრცეში) ხოლო კოსმოსის პრინციპია რიცხვი. რიცხვით განისაზღვრება წესრიგი და ჰარმონია, როგორც ცაში, ისე ხელოსნობაში, ხელოვნებაში, აღზრდის სფეროში და თვით პოლიტიკაშიც კი. პითაგორას მოძღვრებით რიცხვი ყოველგვარი არსებულის უნიკალურ თვისებას წარმოადგენს. ყველაფერი ექვემდებარება რიცხობრივ კანონზომიერებას. განსაკურებულად, პითაგორას ყურადღება მიიქცია მუსიკამ, როგორც

ადამიანის სულის განწმენდის საუკეთესო ორფიკულმა საშუალებამ. პითაგორა, როგორც ჭეშმარიტი ელინი მთელი სისრულით განიცდიდა მუსიკის მშვენიერებას და თვითონაც შესანიშნავად უკრავდა. პითაგორამ პირველი დიდი აღმოჩენა მუსიკის სფეროში მოახდინა, რაც მისთვის მთელი სამყაროს იდუმალების წარმომჩენ ჭეშმარიტებად იქცა და საფუძვლად დაედო მის ფილოსოფიას და მათემატიკურ თეორიას. ამ აღმოჩენის მიხედვით ბგერების გამომცემი სიმის სიგრძესა და სიმის ჟღერით წარმოქმნილ ბგერებს შორის კანონზომიერი რიცხობრივი თანაფარდობაა; ჰარმონიული ბგერები სრულ შესაბამისობაშია მათემატიკურ პროპორციებთან; ბგერათა სამყაროში საზღვრის შემოტანა დისჰარმონიას ჰარმონიად აქცევს. ბგერებში არსებული განუსაზღველი თვისობრივი მრავალფეროვნება მშვენიერებად იქცევა პროპორციის მარტივი კანონების მეშვეობით და ეს პრინციპი მთელი უნივერსუმის განმსაზღვრელი პრინციპია.

აღმოჩენილ იქნა წესრიგის არსი, ბგერის ბუნებაში დაფარული რიცხობრივი ორგანიზაცია. ესაა სამყაროს კოსმოსის წარმოქმნის ზოგად პითაგორული ფორმულა, საიდანაც გამომდინარეობს ზოგადფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური შედეგები. კოსმოსის არსებობა რიცხობრივი პროპორციებით განისაზღვრება, რაც სამყაროულ ქაოსს მშვენიერებად აქცევს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძველი ბერძენის სულის მეორე დამახასიათებელი თვისება იყო ბუნდოვანის, უფორმოს და ფანტასტიკურის საპირისპიროდ გონით მისაწვდომისთვის, გარკვეულისთვის,მშვენიერისთვის უპირატესობის მინიჭება, მაშინ პითაგორა ელინური სულის უპირველესი მოციქულია.

მოხდენილად შენიშნავს ბერტრან რასელი:,,პითაგორას შემდეგ მუსიკალური საკრავის მომართ ულმა სიმმა მთავარი როლი შეასრულა ძველი ბერძნული კულტურის ისტორიაში“ **(Рассел,1998:48).**

„ელინური საოცრების“ ერთ ერთ გამოვლენად და ამხსნელ პრინციპად უნდა დასახელდეს განათლებისა და აღზრდის სისტემა. ძველი ბერძნები განსაუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ აღზრდა-განათლების მიმართ. ის ელინური კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. პოეზია, მუსიკა, ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება, თეატრი, ორატორული ხელოვნება, სპორტი განუყოფელ მთლიანობას ჰქმნიდნენ და აღზრდის უმნიშველოვანეს ფაქტორებს წარმოადგენდნენ, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ელინური კულტურის ქმნადობის საქმეში. ,,პირველდაწყებითი სწავლა-განათლება სამი ნაწილისგან შედგებოდა: გრამატიკის, მუსიკისა და გიმნასტიკისგან. შვიდი წლის ასაკში ბავშვებს აღსაზრდელად აბარებდნენ. ე.წ. ,,მუსიკურ“ სკოლაში სადაც ბაშვები ეუფლებოდნენ წერა-კითხვას, პარალელურად მათ ასწავილდნენ დიდი ბერძენი პოეტების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, რომლებიც ადიდებდნენ ღმერთებს, სამშობლოსთვის თავდადებულ გმირების ღვაწლს, მათ დიდსულოვნებას, კეთილშობილებას და სიქველეს. ბერძნული მწერლობა იყო არა მარტო ლიტერატურული განათლების, არამედ ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება“ **(პლატონი,1997:429).** განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მოზარდის აღზრდაში მუსიკას და ხელოვნებას, მათში ხორცშესხმულ მშვენიერებას და კეთილსახიერებას, სიტყვას, ჰარმონიას და რიტმის სინატიფეს. აი რას წერს ამის შესახებ პლატონი: ,,მათ მოაქვთ სიმრთელე და სიჯანსაღე, აღსაზრდელს სიყრმიდანვე რომ აჩვევს მშვენიერების სიყვარულს და მეგობრობისა თუ სრული თანხმობის ცხოველმყოფელ გრძნობას უნერგავს გულში.... მუსიკა ყველაზე ღრმად წვდება ადამიანის სულს და უჩვეულო ძალით აღელვებს მას. რიტმსა და ჰარმონიას თან ახლავს კეთილსახიერება, და ისინი კეთილსახიერებითვე მოსავენ სულსაც, თუ ეს უკანასკნელი ისეა აღზრდილი, როგორც ჯერ არს, თუ არა და, პირიქით, ამახინჯებენ მას. ვინც ამ მხრივ სათანადოდ არის აღზრდილი,

ძალიან მძაფრად განიცდის, როგორც ბუნების, ისე ხელოვნების ქმნილებათა ყოველნაირ ნაკლს. მათ გაურანდაობას თუ არასრულყოფილებას. მშვენიერების თაყვანისმცემლად ქცეული ,სულით რომ აღიქვამს და შეისისხლხორცებს მას, მშვენიერებითვე ისულდგმულებს და თვითონაც მშვენიერი და კეთილი გახდება. სიმახინჯეს კი სავსებით სამართლიანად დაჰგმობს და სიყრმიდანვე შეიზიზღებს, ხოლო როდესაც გონიერების ასაკს მიაღწევს, მთელი არსებით შეიყვარებს გონებას და მიხვდება, რომ მასთან სწორედ მუსიკალურმა აღზრდამ მიიყვანა“ **(პლატონი, 2003:108).**

ბერძნული განათლება უმთავრეს მიზნად ისახავდა მოზარდში არა რომელიმე ხელობაში დაოსტატებას, არამედ პიროვნებად აღზრდას, იმ უნარების განვითარებას, რომელიც მას დასჭირდებოდა საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობისას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. აღზრდის ამ მხარეს განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს პერიკლე ძვ.წ.აღ.431წელს წარმოთქმულ თავის სამგლოვიარო სიტყვაში (**Фукидид, 2022:75**), ხოლო პლუტარქეს გადმოცემით, სოლონი თავის მიერ გატარებული რეფორმების უმნიშვნელოვანეს დამსახურებად მიიჩნევს სწორედ აღზრდის გზით ადამიანში ამ უნარების განვითარებას. პერიკლეს ეპოქის განმანათლებლურმა სულისკვეთებამ, მეცნიერებისა და ხელოვნების არნახულმა განვითარებამ, კულტურის მოღვაწეთა საყოველთაო აღიარებამ, მათ მიერ მოხვეჭილმა სახელმა და დიდებამ; ამასთან პოლისი დემოკრატიული სახელმწიფო იყო და ყოველ მოქალაქეს რეალური შანსი ჰქონდა აქტიური მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახალხო კრებაზე ხმების მიღების ან წილისყრის გზით მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობა დაეკავებინა. ამან აღძრა სწავლა-განათლების უჩვეულოდ მძაფრი წყურვილი და განათლების ისეთი საყოველთაო მოთხოვნილება, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცობრიობის კულტურის ისტორიას.

პოლისი-გენიალური კულტურის შექმნისთვის ეთნოსის გენიალურობა არ არის საკმარისი. საჭიროა სათანადო სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პირობები ამ თანდაყოლილ ნიჭს რომ მიეცეს სრულყოფილი რეალიზაციის საშუალება.

და ჩვენ მივადექით ყველაფრის ამხსნელ მთავარ პრინციპს. პირველად კაცობრიობის ისტორია ში, ძველ საბერძნეთში, აღმოცენდა ისეთი კულტურული ფენომენი, თავისი სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურებით, ღირებულებათა სისტემით და ცხოვრების წესით, როგორიცაა პოლისი. პოლისით უნდა აიხსნას ანტიკური ელადის ბედი, მისი ბრწყინვალებაც და დაცემაც. ელინურ პოლისს განვიხილავთ ათენის პოლისის მაგალითზე, რადგან პოლისმა თავისი სრულ ყოფილების კლასიკურ დონეს ათენის ქალაქ-სახელმწიფოში მიაღწია. ამ საქმეში კი პერიკლეზე უკეთეს დამხმარეს ვერ ნახავ, რადგან პერიკლე ათენის პოლისის ბრწყინვალების მომსწრეცაა და ამ ბრწყინვალების ერთ-ერთი შემოქმედიც. აი როგორ ახასიათებს ის, ზემოთ უკვე ნახსენებ, თავის ცნობილ სამგლოვიარო სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა ძვ.წ.აღ. 431 წელს პელოპონესის ომის პირველ ბრძოლაში დაღუპულ ათენელ მეომართა დაკრძალვის ცერემონიაზე: ,,ჩვენს ქალაქს მართავს არა ადამიანთა მცირე ჯგუფი, არამედ ხალხის უმეტესობა, სწორედ ამიტომ ჰქვია ჩვენს სახელმწიფოებრივ წყობას სახალხო მმართველობა. კერძო საქმეებში ყველა სარგებლობს თანაბარი უფლებებით და კანონის წინაშე ყველა თანასწორია. რაც შეეხება სახელმწიფო საქმეებს, საპატიო სახელმწიფო თანამდებობებზე ვირჩევთ მხოლოდ ღირსეულ, დამსახურებულ პირებს, ისე, რომ ყურადღებას არ ვაქცევთ მის სოციალურ წარმომავლობას და ქონებრივ მდგომარეობას. სიღარიბე ან არაკეთილშობილური წარმომავლობა არ არის ხელისშემშლელი სახელმწიფოებრივი თანამდებობის დაკავებაში, თუ მას გააჩნია სათანადო უნარები სარგებლობა მოუტანოს პოლისს. ჩვენს სახელმწიფოში ჩვენ ვცხოვრობთ

თავისუფლად და ყოველდღიურ ცხოვრებაში გავურბი ვართ შურს, შუღლს და ეჭვიანობას. მომთმენნი ვართ პირად ურთიერთობებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ ვარღვევთ კანონებს არა შიშის, არამედ კანონების მიმართ პატივისცემის გამო. ჩვენ თავისუფალი ნებით, ენთუზიაზმით ვემორჩილებით კანონებს და ხელისუფლებას.

სიმდიდრეს ვაფასებთ იმდენად, რამდენადაც მას კეთილგონივრულად ვიყენებთ და არა პატივმოყვარეობისა და თავმოწონების გამო. სიღარიბე ჩვენთვის არ არის სამარცხვინო, მაგრამ დიდ სირცხვილად ითვლება თუ ადამიანი არ ცდილობს მისგან თავის დაღწევას თავისი შრომ ით. ერთი და იგივე ადამიანები,ჩვენთან,ერთნაირად არიან დაკავებულნი როგორც პირადი ისე საზოგადოებრივი საქმეებით. კარგად ერკვევიან რა თავის ხელობაში, ასევე კარგად ერკვევიან პოლიტიკაში. მხოლოდ ჩვენ მივიჩნევთ ადამიანს, ვინც არ არის დაკავებული საზოგადოებრივი საქმეებით არასაიმედო და უსარგებლო ობივატელად. სახელმწიფოებრივ საქმეთა განხილვისას ჩვენ არასდროს მივიღებთ რაიმე გადაწყვეტილებას საკითხის წინასწარი მომზადების, სიტყვით გამოსვლის, კამათის და ხმის მიცემის გარეშე“... **(Фукидид, 2022:75-76).** სტატიისთვის განკუთვნილი ადგილის სიმცირის გამო, პერიკლეს ამ სიტყვის ანალიზს თეზისების სახით წარმოვადგენთ:

ათენის პოლისში ყველა მოქალაქე მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვაში; მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება, რომელსაც ექვემდებარებოდა ყველა მართვის ორგანო; პოლისში მართვა დემოკრატიულია, დემოკრატია არის პირდაპირი და არა წარმომადგენლობითი;(პოლისურ დემოკრატიას ეხლა კლასიკურს ეძახიან). კლასიკური დემოკრატია გულისხმობდა მოქალაქეთა სრულ და ყოველმხრივ ჩართულობას სახელისუფლებო სტრუქტურებში და სახელმწიფოს მართვაში ისინი რეალურად მონაწილეობენ უმაღლესი მმართველობის განხორციელებაში; კლასიკური დემოკრატიის საკვანძო პრინციპს წარმოადგენს კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა. არც ერთი სოციალური ფენა, არც ერთი ჯგუფი მოქალაქეებისა არ ფლობს რაიმე პრივილეგიას არისტოკრატიული წარმომავლობის ან სიმდიდრის გამო; პოლისური სახელ მწიფოებრიობისთვის უცხო იყო ხალხისგან მოწყვეტილი, ხალხზე ზემდგომი განსაკუთრებული სახელისუფლებო ორგანოები. პოლისი იყო სახელმწიფო ბიუროკრატიის გარეშე. თანამდებობის პირები ზემოდან კი არ ინიშნებოდნენ, არამედ ირჩეოდნენ; არჩევნები ხდებოდა ან პირდაპირი ხმის მიცემით ან წილისყრით; პოლისის ყველა მოქალაქეს ჰქონდა თანაბარი უფლება, აქტიური მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლისის მოქალაქეს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: სახელმწიფო ეს მე ვარ. ყველა თანამდებობა იყო კოლეგიალური, არავის შეეძლო ემართა ერთპიროვნულად. ხელისუფლების ორგანოებში ხდებოდა მუდმივი როტაცია. სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა ერთი წლის ვადით. ყველა მოქალაქის სრულ ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში უზრუნველყოფდა ის ფაქტი, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა ხდებოდა სახალხო კრებაზე, სადაც ყოველი მოქალაქე ფლობდა დისკუსიაში მონაწილეობის, სიტყვის და გამოხატვის სრულ თავისუფლებას.

როგორც აღინიშნა, სახალხო კრება პოლისის შეუზღუდავი, უმაღლესი მართვის ორგანოა. სახალხო კრების წევრია ყველა მოქალაქე. ის წყვეტს სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვან საკითხს: იღებს კანონებს, აცხადებს ომს, დებს ზავს, ირჩევს თანამდებობის პირებს და პერიოდულად იბარებს მათგან ანგარიშს; მთავარი სასამართლო ორგანოა მსაჯულთა სასამართლო, რომელიც თავისი შემადგენლობით მრავალრიცხოვანია-6000 კაცი. სასამართლოს ასეთ მრავალრიცხოვნებას განაპირობებს, პირვ ელ რიგში ის, რომ

სასამართლოს ჰქონდეს დემოკრატიული საყოველთაო სახალხო ხასიათი და რომ შეუძლებელი ყოფილიყო მისი მოსყიდვა.

არქაული პერიოდიდან მომდინარე ტრადიციით თუ თავდაპირველად უმაღლესი ხელისუფლება 9 არქონტის ხელში იყო, მეხუთე საუკუნიდან აღმასრულებელი ხელისუფლება გადავიდა ათი სტრატეგის ხელში. ომის დროს ისინი სარდლობდნენ ჯარს, ხოლო მშვიდობიანობის დროს ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს. მხოლოდ სტრატეგის თანამდებობაზე შეიძლებოდა ერთი და იმავე პირი მრავალჯერ არჩევა.

პოლისური დემოკრატია ისეთი პოლიტიკური სისტემა იყო, რომლის პირობებშიც ყოველი მოქალაქე მინიმუმ ერთხელ მაინც იყო ან აღმასრულებელი თანამდებობის პირი, ან მოსამართლე. პოლისური დემოკრატია, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის გარდა უზრუნველყოფდა პირად ცხოვრებაში ყოველი მოქალაქის სრულ თავისუფლებას, რა თქმა უნდა კანონის ფარგლებში. თავისუფლების ბერძნული პრინციპი დაურღვეველ კავშირში იყო პასუხისმგებლობის პრინციპთან. თვით პერიკლე თავისი გავლენისა და ავტორიტეტის ზენიტში მყოფი ყოველწლიურად თა ვისი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებდა სახალხო კრებას. ასე იქცეოდა ყველა მაგისტრატი. თუ ანგარიში იყო არადამაკმაყოფილებელი, მაგალითად, თუ გაირკვეოდა, რომ მაგისტრატმა არამიზნობრივად გაფლანგა თანხა ან გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, პოლიტიკოსი გადაეცემოდა სასამართლოს. საკაცობრიო ისტორია სახელმწიფოებრიობის მრავალ ტიპს იცნობს, მაგრამ ბერძნული პოლის ის სახით ჩვენს წინაშეა მეტად უნიკალური და ორიგინალური ფენომენი. ტრადიციული სახელმწიფოებისგან განსხვავებით ბერძნულ პოლისში ვერაფერს ნახავთ განუსრულებელს, ის ხელოვნების ქმნილებას ჰგავს, რომელიც განცვიფრებს თავისი სრულქმნილებით. მისი სტრუქტურა იმდენად გონივრულადაა მოფიქრებული და დახვეწილი დეტალებში, რომ არც მიმატება შეიძლება რაიმესი და არც დაკლება. პოლისის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორციელებულ ,,კოსმოსთან". ეს არის ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული თანაცხოვრების ყველაზე სრულქმნილი ფორმა მსოფლიო ისტორიაში.

პოლისმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ადამიანის განვითარებაში. პოლისის წყალობით ეზიარა მოქალაქე, პიროვნება თავისუფლების ისეთ ხარისხს, რომლის მსგავსიც არ იცის არც წინანდელმა და არც შემდგომი ეპოქების ისტორიამ, დღევანდელობის ჩათვლით. არასდროს მომხდარა შემოქმედებითი ნიჭის და შეჯიბრებითობის სულისკვეთების ასეთი განთავისუფლება და შესაბამისად კულტურის ასეთი გაფურჩქვნა-აყვავება.

ძველი წელთაღრიცხით მეხუთე საუკუნის 90-80 იან წლებში, მარათონის, სალამინის და პლატეას ბრძოლებში ბერძენთა ბრწყინვალე გამარჯვებამ, რამდენადაც სპარსელთა წინააღმდეგ გაერთიანებულ ბერძნულ პოლისებს ათენი მეთაურობდა, ათენი ბერძნული სამყაროს აღიარებულ ლიდერად და მთელი საბერძნეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად აქცია, მაგრამ სპარტა ვერ ეგუებოდა ათენის ამ მზარდ გავლენას და მას ელინურ სამყაროში ჰეგემონიის გულისთვის დაუპირისპირდა.დაიწყო საყოველთაოდ ცნობილი პელოპონესის ომი, რომელშიც ჩათრეულ აღმოჩნდა მთელი ელადა და რომელმაც ურიცხვი უბედურება დაატეხა თავს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს; სისხლისგან დაწრიტა, ზნეობრივად გადააგვარა და ბოლო მოუღო მეომარი მხარეების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებას.

გამოხდა ხანი და დაიწყო ფილიპესა და ალექსანდრეს ლაშქრობები ბალკანეთში, რასაც საბოლ ოოდ მოყვა ქალაქ-სახელმწიფოების მზის ჩასვენება, პოლისები შთანთქა ნახევრად

აღმოსავლური ტიპის სამეფომ. მაგრამ ამ პოლიტიკურმა მიზეზებმა შეუბრალებლად დაასრულეს პოლისთა დაცემის ის პროცესი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში უკვე მიმდინარეობდა.

ყოველი იტორიული ეპოქის, ყოველი ცივილიზაციის დასაბამსა თუ დასასრულში რელიგიური და ფილოსოფიური იდეები ძევს და ისინი საბედისწერო როლს თამაშობენ.

ქალაქ-სახელმწიფოს საფუძვლებს სამი სააზროვნო ნაკადი უტევდა: ორფიკული მისტიციზმი, ნატურფილოსოფია და სოფისტური მოძრაობა. ვითარებაში უკეთ გასარკვევად უნდა გავიაზროთ რამდენად სრულად იყო გაიგივებული ერთმანეთთან პოლისი და რელიგია. ჰომეროსიდან და ჰესიოდედან მომდინარე ტრადიციით ძველი ბერძნები მრავალ ღმერთს აღიარებდნენ: ზევსს, ათენას, აპოლონს, პოსეიდონს....., მაგრამ ყველა პოლისს გამორჩეული ჰყავდა ერთი ღმერთი, პოლისის მფარველი და ამ პოლისის ყოველი მცხოვრების გულის მესაიდუმლე. რელიგიური დღესასწაულები, რომლებიც ღმერთების თაყვანისცემას ეძღვნებოდა, სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს წარმოადგენდნენ და მათში მონაწილეობა ყოველი მოქალაქის აუცილებელ მოვალეობად ითვლებოდა. რელიგიას ჰქონდა საყოველთაო სახალხო ხასიათი.

ძველი ბერძენისთვის ღვთისმსახურება, ლოცვა და რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა ისეთივე აუცილებელი და ბუნებრივი რამ იყო, როგორც სუნთქვა. ოლიმპოელი ღმერთები და კულტურული გმირები (ჰერაკლე, თეზევსი, პერსევსი...) არქეტიპებს წარმოადგენდნენ მისთვის. თავის ყოველგვარ საქმიანობაში ბერძნები ორიენტირებულნი იყვნენ არქეტიპებით და მათ მიმართ მოწიწებით იყვნენ განმსჭვალულნი. არქეტიპებმა თავიანთი საქმიანობით, ქცევით სამყაროული ქაოსი გარდაქმნეს კოსმოსად, დაადგინეს ადამიანური ქცევის, საქმიანობის წესები, ღირებულება თა ერთიანი სისტემა. მათ გაკვალეს სწორი ცხოვრების გზა, სოციალურ თუ პოლიტიკურ სფეროში ძველი ბერძენი ცხოვრობდა და მოქმედებდა რა არქეტიპების მსგავსად, ის ერთგვარად მონაწილე ხდებოდა სამყაროული წესრიგის შენარჩუნებაში და ამით თავს აღწევდა იმ უამრავ უბედურებას, რასაც მას უქადდა ქაოსური სამყარო. ეს იყო სამყაროს მარადიული წესრიგისადმი მორჩილება და ღვთიური ნებისადმი შინაგანი თანხმობის გამოცხადება. აქედან გამომდინარე გაბატონებულ რელიგიაში ეჭვის შეტანა ნიშნავდა პოლისის წესწყობილებაში დაეჭვებას. პოლისის კანონების და ინსიტუტების სიმტკიცე რელიგიით იყო გამაგრებული. ორფიზმი--ორფიზმი, როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება და მისტერიალური კულტი ძვ. საბერძნეთში ძვ.წ.აღ.VI საუკუნეში აღმოცენდა და ფართოდ გავრცელდა, როგორც ბალკანეთის ნახევარკუნძულის პოლისებში, ისე ე.წ.დიდ საბერძნეთში, სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში. ორფიზმის მიმდევრები მოძღვრების დამაარსებლად მიიჩნევდნენ მითოსურ პოეტსა და მომღერალ ორფეოსს. გავრცელდა ესქატოლოგიური და თეოგონიური პოემები, რომელთა ავტორად ორფეოსი ითვლებოდა. ორფიკოსთა სათაყვანებელი ღვთაება იყო, მარად განახლებადი ბუნების ღმერთი დიონისე. ამ მოძღვრების მიხედვით, დიონისე (უფროსი)ზევსისა და პერსეფონეს შვილი, ბავშვობაში ტიტანებმა დაფლითეს და შეჭამეს. ზევსმა ტიტანები ელვით ნაცრად აქცია და მათთან ერთად-შეჭმული დიონისეს სხეულიც. ამ ფერფლიდან ზევსმა შექმნა ადამიანთა მოდგმა, რომელნიც ორბუნებოვანნი არიან. მათი ბუნების ერთი მხარე ბოროტია, ტიტანურია, ხოლო მეორე-ღვთაებრივი, დიონისური. მიაჩნდათ, რომ ორფეოსის თეოგონიური სწავლება ჰომეროსისაზე ბევრად ძველია და ჭეშმარიტია. ორფიზმის რწმენით, ადამიანის ამქვეყნიური სიცოცხლის მიზანია, განიწმინდოს ამ პირველყოფილი ცოდვისგან, გაანთავისუფლოს ღვთაებრივი, დიონისური საწყისი ტიტანური სიბილწისგან. სხეული გაგებულია, როგორც სულის საფლავი თუ საპყრობილე.

ორფიზმმა შემოიტანა ადამიანის ყოფიერების საზრისის, სიცოცხლის მიზნის, ელინური სამყაროსთვის მანამდე უცხო გაგება. ჩვენი მხრიდან ვიტყვით, რომ ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელმაც იცის თავისი მოკვდავობის შესახებ. ის შეშფოთებულია ამით და ცდილობს რამენაირად ეზიაროს მარადისობას. ადამიანს, რამდენადაც ის ადამიანია, მუდამ მხედველობაში აქვს და მოსვენებას არ აძლევს უსასრულო ყოფიერებაში დამკვიდრების სურვილი. ერთ უძველეს ვედურ ტექსტში ასეთ სტრიქონებს გადავეყარე: ,,ხსნის გზა მიჩვენე ღმერთო, ჩემს თვალებში უკუნი სიბნელეა, მითხარ, მანუგეშე, რომ ისევე შევერთვი მარადისობას, როგორც განგი ერთვის ოკეანეს“. მაგრამ, როგორ წარმოიდგენდა ტრადიციული ბერძნული რელიგია სიკვდილის, უკვდავების და საიქიოს ფენომენებს? საიქიო, იგივე ჰადესი, ათასნაირი საშინელების საუფლოა: ,,ათასწილ მიჯობს, ცოცხალი ვიყო და ვმსახურებდე თუნდ დღიურ მუშად კაცს ღარიბ-ღატაკს ,ვიდრე ჰადესში მწუხარე ლანდთა მბრძანებლად მთვლიდნენ; “/ან:,,ჰადესის ბჭე, თვით ღმერთთათვის თავზარდამცემი“; /ან კიდევ: ,,ჰოი ღმერთებო, ნამდვილად რჩება ჰადესში ჩვენი სული და ლანდი, მაგრამ უგონო და უსხეულო, უგრძნობელი და ცნობამიხდილი“; /აი კიდევ: ,,მწარე ქვითინით მიფრინავს ჰადესს სხეულს გაყრილი საბრალო სული, დასტირის თავის უბედურ სვეს და სამუდამოდ ამქვეყნად შთენილ სიმტკიცეს, სიმხნეს და სიჭაბუკეს“ (პლატონი,2003:85-86). ორფიზმმა ელინურ სულიერ სივრცეში პირველმა შემოიტანა სულის უკვდავებისა და განვითარების იდეა, თავისი შემაცბუნებელი და დრამატული თავგადასავლით, რაც მის უმთავრეს იდეას წარმოადგენს. ესაა პალინგენეზის, სულის ტრანსმიგრაციის, სიცოცხლის ციკლთა თანამიმდევრული მონაცვლეობის, განსხეულებათა უსასრულო პროცესის იდეა. სხეულის სიკვდილის შემდეგ სული თანამიმდევრულად გადასახლდება არა მარტო ადამიანთა, არამედ სხვადასხვა ცხოველთა სხეულებშიც. ესაა სულის სხეულიდან სხეულებში მოგზაურობის უსასრულო ციკლი, რომელსაც პოლ ვალერი მომხიბლავი შედარებით ასე გვიხასიათებს: ,,სული ისე გადადის სხეულიდან სხეულში შემკრთალი ამ სხეულთა უდღეურობით, როგორც დაფრინავს ტოტიდან ტოტზე ჩიტი დამფრთხალი ამ ტოტთა მოცახცახე უმწეობით“ **(პოლ ვალერი, 1983:173).**

რადგან სულის გადასახლება სხვადასხვა სხეულში ჩვეულებრივი რამაა, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლის ყველა სახე ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფება. უნივერსუმი, როგორც მთელი სულიერი, ღვთაებრივი არსებაა. უნივერსუმი ერთია, მარადიული და ღვთაებრივი, ადამიანები კი - მრავალნი და მოკვდავნი, მაგრამ ადამიანის უსაკუთრივესი ნაწილი, სული უკვდავია და უკვდავია იმის წყალობით, რომ ღვთაებრივი სულის ნაწილია თუ ნაპერწკალი, მისგან მოკვეთილი და მოკვდავ სხეულში გამომწყვდეული. აქედან სიცოცხლის მიზანიც ნათელი ხდება: სულმა უნდა ჩამოირეცხოს სხეულებრიობის ჭუჭყი და წმინდა სულად ქცეული თავის დედა წიაღს, უნივერსუმის სულს დაუბრუნდეს და შეერწყას, რომელსაც ის არსებითად მიეკუთვნება. სრულყოფილი სიწმინდის მისაღწევად მან გადასახლებათა მთელი წყება უნდა განვლოს, უნდა გადავიდეს ერთი სხეულიდან-მეორეში. გადასვლათა პროცესში სულის ინდივიდუალურობა არ იკარგება. მაგრამ აქ მთავარია დაბადებათა და გარდასხეულებათა უწყვეტი ციკლის დასრულება, მისგან განთავისუფლება და ღვთაებრივ საწყისთან დაბრუნება. ორფიზმის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ორფიკულ მისტერიებში მონაწილეობით, მისტერიულ ექსტაზში ჩადგომით, მუსიკით, ხელოვნებით.

,,ორფიკული ცხოვრება“თავისი რიტუალებით და მისტიკური ცერემონიებით ადამიანს ურჩევდა განმარტოებას, უკიდურეს ინდივიდუალიზმს, ზრუნვას მხოლოდ ინდივიდუალურ სულზე, რადგან მხოლოდ ამ გზით მიაჩნდა შესაძლებლად რეინკარნაციის ციკლის

დასრულება და სულის განთავისუფლება სხეულის საბყრობილიდან. ორფიკული სექტის მიმდევართა საფლავებში აღმოჩენილ ფირფიტებში ასეთ ჩანაწერებს ვხვდებით: ,,გაიხარე ტანჯვით გაწამებულო ,,რადგან აღარ დაიტანჯები. ადამიანიდან შენ აღორძინდები ღმერთში და ნეტარი იქნები ღმერთთან. ადამიანისგან დაიბადება ღმერთი. ადამიანი უნდა დაუბრუნდეს ღმერთის წიაღს“. ორფიზმი უაღრესად საიდუმლო, ეზოთერული ხასიათისა იყო. მისტერიებში მონაწილეობა შეეძლოთ მხოლოდ განდობილთ.ორფიზმი რადიკალურად უპირისპირდებოდა ტრადიციულ რელიგიას და სერიოზულად არყევდა პოლისის მთავარ საყრდენ საფუძველს. საფრთხეს უფრო მეტად ზრდიდა ის ფაქტი,რომ არისტოკრატია და ინტელექტუალური ელიტა მოიხიბლა ამ ახალი რელიგიით. სამაგალითოდ ისიც იკმარებს, რომ პითაგორა და თვით პლატონი ორფიზმის მიმდევარნი იყნენ და დიდი მოწიწებით ლაპარაკობდნენ მასზე..

აი, რას ამბობს ცნობილი მკვლევარი ტოინბი ამის შესახებ: ,,დიდი ხნით ადრე, ვიდრე ელინურ ცივილიზაციას ბზარები გაუჩნდებოდა ბერძნულმა არისტოკრატიამ და ინტელექტუალურმა ელიტამ მწვავედ გააცნობიერა ჰომეროსიდან მომდინარე რელიგიისა და სულიერი მემკვიდრეობის ნაკლებობა. მათ თვალი მიაბყრეს უღრმეს წარსულს და აღმოაჩინეს ორფიზმი, რომლითაც ცდილობდნემ მოეკლათ სულიერი წყურვილი, იმაში ღრმად დარწმუნებულებს, რომ ცოდვილნი იყვნენ და უნდოდათ განთავისუფლებულიყვნენ მისგან“ **(Тойнби, 1990:377).**

ნატურფილოსოფია-ბერძნული ნატურფილოსოფია წარმოშობის საწყის ეტაპზევე დაუპირისპირდა მითოლოგიას და რელიგიას და შეეცადა უნივერსუმის რაობა და პრობლემები აეხსნა მხოლოდ გონების მეშვეობით, დასაბუთების გზით, ბუნებრივ საფუძველზე, ყოველგვარი ზებუნებრივი ძალების ჩაურევლად. ისინი ხილული სინამდვილის მრავალფეროვნებისა და ცვალებადობის ქაოსში მუდმივ, უცვლელ ამხსნელ პრინციპს დაეძებდნენ და მის პოვნას იმედოვნებდნენ პასუხით კითხვაზე ,,რისგან შედგება სამყარო“? ეს იყო ძიება ქვემდებარე იგივეობისა, უცვლელი მასალისა, სუბსტანციისა. სამყაროს სუბსტანციას ზოგი წყალში ხედავდა, ზოგი -ჰაერში, ზოგი-ცეცხლში, ზოგი კი--ოთხივე სტიქიონში ერთად. პირველ ნატურფილოსოფოსთა პოზიციას კარგად გამოხატავს ჰერაკლიტეს ცნობილი გამონათქვამი: ,,სამყარო, ერთიანობა ყოველივესი, არც ღმერთის შექმ ნილია, არც ადამიანის, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც თანაზომადად ინთება და ქრება“.

აქ, რა თქმა უნდა, ადგილს ვერ ნახულობენ ბერძენთა ტრადიციული რელიგიის ღმერთები. ატომისტები სამყაროს არსებობას ორი პრინციპით ხსნიან,--ატომებით და ცარიელი სივრცით. არსებობს უსასრულო, უკიდეგანო ცარიელი სივრცე, როგორც საგანთა არსებობის ადგილი და მოძრაობის პრობა და მასში მორიალე ატომები. ატომები უმცირესი, განუყოფელი, მარადიული (არ შეიძლება ატომები წარმოიშვას ან მოისპოს), უცვლელი, მარად მოძრავი(მოძრაობა მათი განუყოფელი თვისებაა), უსასრულო რაოდენობის მატერიალური ნაწილაკები არიან. ისინი ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ზოგი სამკუთხაა, ზოგი ოთხკუთხა, -მრავალკუთხა, წაგრძელებული, მრგვალი და ა.შ. უსასრულოა ატომთა სიმრავლე და უსასრულოა მათი მოყვანილობა და ფორმა. ატომები წარმოადგენენ სამყაროს სუბსტანციას, მათგან შედგება ყველაფერი რაც არის. საგნები ერთმანეთისგან განსხავდებიან შემადგენელი ატომების ფორმით, განლაგებით ან სიდიდით. უფრო უკეთ ნათელყოფისთვის, სამყარო შეიძლება შევადაროთ წიგნს, ხოლო ატომები ასოებს, რომლითაც წიგნია დაწერილი. განსხვავება ისაა, რომ ასოთა რიცხვი განსაზღვრულია, ხოლო ატომთა რიცხვი-განუსაზღვრელი. სიტყვა ჩნდება, როცა ასოები ერთმანეთს უკავშირდებინ, სათანადო წესების

დაცვით, საგნები იქმნებიან, როცა ატომები უკავშირდებიან ერთმანეთს. საგნის წარმოშობა ეს ატომთა შეერთებაა, ხოლო სიკვდილი-მათი დაშლა შემადგენელ ატომებად. ყველაფერზე ბატონობს მკაცრი დეტერმინიზმი, ბრმა აუცილებლობა. სული არსებობს, ოღონდ მხოლოდ ადამიანური სული, მაგრამ ისიც ატომური შედგენილობისაა, შედგება უფრო ნაზი, ნატიფი ატომებისგან. არ არის ღმერთი, არ არის საიქიო, არ არის სულის უკვდავება. ყველაფერზე ბატონობს მკაცრი დეტერმინიზმი, ყველაფერს განსაზღვრავს ,,ბრმა“ აუცილებლობა.

ქსენოფანე კოლოფონელი სამართლიანად ითვლება პირველ ათეისტად არა მარტო ძველ საბერძნეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. ის თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ოლიმპოს ღმერთები არ არსებობენ, ისინი ადამიანის წარმოსახვის პროდუქტები არიანო. თავის ერთ-ერთ ლექსში ის წერს:

,,შავები და ბრტყელცხვირიანნი არიან ეთიოპელთა მიერ დახატული ღმერთები, ხოლო თრაკიელთა ღმერთები ქერანი და ლურჯთვალებანი არიან; ხარებს ან ლომებს ან ცხენებს ხელები რომ ჰქონოდათ, ამ ხელებით ხატვა რომ შესძლებოდათ, მაშინ ცხენები ცხენისსახიან ღმერთებს დახატავდნენ, ხარები ხარისსახიანს, ლომები კი ლომისსახიანს“ **(Ксенофан, 1999:276).**

ნატურფილოსოფოსთა ამ სახიფათო მატერიალისტურმა და ათეისტურმა იდეებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს მეხუთე საუკუნის საბერძნეთში და სერიოზულად შეურყიეს ძირი პოლისის საფუძვლებს იმის მტკიცებით, რომ ღმერთები ან საერთოდ არ არსებობენ ან შეუძებელია არსებობდნენ ჰომეროსულ ტრადიციაში არსებული ფორმითო.

სოფისტიკა-სოფისტები ძვ.წ.აღ.V საუკუნის შუა წლებში გამოჩნდნენ ათენში. ისინი თავს ახალგაზრდობის აღმზრდელებად და სიბრძნის მასწავლებლებად ასაღებდნენ და საკმაოდ მომზადებული ნიადაგიც დახვდათ სამოღვაწეოდ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პერიკლეს ეპოქის განმანათლებლურმა სულისკვეთებამ, მეცნიერებისა და ხელოვნების არნახულმა განვითარებამ, კულტურის მოღვაწეთა საყოველთაო აღიარებამ, მათ მიერ მოხვეჭილმა სახელმა და დიდებამ მოსახლეობის ფართო ფენებში პატივმოყვარული მისწრაფებების პარალელურად აღძრა სწავლა-განათლების უჩვეულოდ მძაფრი სურვილი და ამ სურვილს თავისი აღმსრულებლებიც გამოუჩნდნენ სოფისტების სახით, რომლებმაც იკისრეს საპატიო მისია,- ხალხში დაენერგათ მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა მონაპოვარი. თავიანთ მრავალრიცხოვან მოსწავლეებს ისინი ასწავლიდნენ აზროვნებისა და მეტყველების კულტურას, აზიარებდნენ ორატორულ ხელოვნებას და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის სულისკვეთებას. მაგრამ ამ პოზიტიური მომენტის გარდა მათ მოღვაწეობას ახასიათებდა დიდი საფრთხის შემცველი მსოფლმხედველობრივი ურწმუნოება, სკეპტიციზმი და რელატივიზმი. ისინი უარყოფდნენ ობიექტური ცოდნის შესაძლებლობას, მორალის ზოგადსავალდებულო ნორმებს. სოფისტების სკეპტიკური პოზიციის საილუსტრაციოდ იკმარებს მათი ორი, ყველაზე ცნობილი წარმომადგენელის პროტაგორასა და გორგიას გამონათქვამები. პროტაგორა ამბობდა: ,,რაც შეეხება ღმერთებს, მე არ შემიძლია ვიცოდე, არსებობენ ისინი თუ არა, ან რა ფორმისანი არიან ისინი; რადგან ასეთ ცოდნას ბევრი რამ ეღობება წინ. მათ შორის-საგნის ბუნდოვანება და ადამიანის სიცოცხლის სიმოკლე“. მასვე ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: ,,ადამიანია ყველა საგნის საზომი“. პლატონის ინტერპრეტაციით ეს ნიშნავდა, რომ ჩემთვის ჭეშმარიტებას ის განსაზღვრავს,მ ე როგორ მეჩვენება საგნები, შენთვის კი ის, შენ როგორ გეჩვენება, ვერავინ ამხელს მეორის შეცდომას. ჭეშმარიტება და მორალი წმინდა შეფარდებითი რამაა. ობიექტური ჭეშმარიტების, ობიექტური სიმართლის და ეთიკური ნორმების უგულებელყოფამ უაღრესად საშიშნი გახადა სოფისტები. მათი მოძღვრება სავალალო ზემოქმედებას ახდენდა ათენელთა პოლიტიკურ

ცხოვრებასა და ზნეობრივ მრწამსზე. და რაც ყველაზე მთავარია სოფისტების სკეპტიციზმი ხელყოფდა კანონის მანამდე ხელშეუხებელ და საკრალურ სანქციას დამყარებულს მისი ღვთაებრივი წარმომავლობის რწმენაზე. ისინი იმის მტკიცებით არყევდნენ პოლისის მართლწესრიგს, რომ ქალაქის კანონებს არავითარი ღვთაებრივი სანქცია არ გააჩნიათ, ისინი ადამიანის ხელითაა შექმნილი ე.ი. ნაკლოვანია და მისივე ნებით ადვილად შეიძლება მათი გაუქმებაო.

ვითარების შესაფასებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძენთა რწმენით კანონები ღმერთ აპოლო ნის კარნახით იქმნებოდა,-ასე წარმოედგინათ სპარტის ლეგედარული დამაარსებლის ლიკურგ ეს, სოლონის, კლისთენეს... საკანონმდებლო შემოქმედება. ბერძენ კანონმდებლებს ჩვეულებად ჰქონდათ დელფოელი აპოლონისთვის მიმართვა რათა მისგან მიეღოთ რჩევა და საკუთარი გეგმების ღვთაებრივი გამართლება. ამ რელიგიურ საფუძველს კანონს მხოლოდ სოფისტების სკეპტიციზმი და ათეიზმი როდი აცლიდა. ამასვე ხელს უწყობდა ბერძენთა მზარდი კონტაქტები უცხო ქვეყნებთან და კოლონიების დაარსებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საქმიანობა. მათ გააცნობიერეს, რა დიდი განსხვავება შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ჰავის პირობებში მცხოვრები ხალხების კანონებსა და ზნე-ჩვეულებებს შორის. რაც შეეხება ახალ-ახალ კონსტიტუციებს, სულ უფრო ძნელდებოდა შეგენარჩუნებინა კანონთა ღვთაებრივი წარმომავლობის რწმენა, როცა კანონთა დამდგენ კომისიებში საკუთარი მეგობრები ან მტრები მონაწილეობდნენ. თვით პროტაგორა შეიყვანეს კომისიაში, რომელიც კანონმდებლობას უდგენდა ბერძენთა ერთ-ერთ ახალდაარსებულ კოლონიას. ამის შემდეგ საკვირველი აღარაა, რომ პირველმა პროტაგორამ დაიწყო გავრცელება იმ თეორიისა კანონების წარმოშობის შესახებ, დღეს სოციალური ხელშეკრულების თეორიის სახელით რომ არის ცნობილი.

სოკრატე იყო პირველი, ვინც მთელი სიღრმით გააცნობიერა სოფისტებისგან მომავალი საფრთხე. მის გამჭრიახ გონებას არ გამოპარვია, რომ სოფისტიკა თავისი არსით სიკეთის, სამართლიანობის, ჭეშმარიტების და, რაც მთავარია, პოლისის წინააღმდეგ მიმართული მოძღვრება იყო, რომელიც დამღუპველ ზემოქმედებას ახდენდა ბერძენთა პოლიტიკურ ცხოვრებასა და ზნეობრივ მრწამსზე. ამიტომ სწორედ სოკრატე დაუპირისპიდა პირველად სოფისტების ურწმუნოებას, სკეპტიციზმს, დემორალიზმს და მათ წინააღმდეგ ბრძოლა თავის სასიცოცხლო მიზნად დასახა. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, წმინდათა-წმინდა საქმე, ბერძნული კულტურისა და პოლისის გადასარჩენად.

სოკრატეს სიკვდილის შემდეგ მისი საქმე განაგრძო მისმა დიდმა მოსწავლემ პლატონმა. პლატონის დროს ორფიზმიდან, ნატურფილოსოფიიდან და სოფისტებიდან მომდინარე დამანგრეველი საფრთხე უკვე აშკარა გამხდარიყო. კოდრიდთა სამეფო გვარის შთამომავალს, ყველა დროის ყველაზე დიდ მოაზროვნეს, წარმომავლობაც და პიროვნული მონაცემებიც ყველანაირ პირობას უქმნიდა დაეკავებინა დიდი პოლიტიკური თანამდებობა, მაგრამ მან ზურგი შეაქცია აქტიურ პოლიტიკურ კარიერას და მთელი თავისი ცხოვრება, ინტელექტუალური ძალისხმევა პოლისის დაცვისა და გადარჩენის საქმეს მოახმარა. ამისთვის დაიწერა ,,სახელწიფო“ და ,,კანონები“, რომელთა საფუძველზეც დაიბადა პირველად პოლიტიკის ფილოსოფია, მაგრამ პოლისს ვერც პლატონის ძალისხმევამ უშველა. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო მთელი თავისი ბრწყინვალეებით, კულტურით, ინსტიტუტებით და ცხოვრებ ის წესით წარსულს ბარდებოდა.

დასკვნა. დაარსებიდან ოთხასიოდე წლის შემდეგ დაემხო ბერძნული პოლისი, ,,ელინური სასწაული“,კაცობრიობის ისტორიისთვის უნიკალური კულტურული ფენომენი თავისი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურებით, ღირებულებათა სისტემით და

ცხოვრების წესით. პოლისის დაცემის მიზეზები, რა თქმა უნდა, პოლიტიკურიც იყო. პელოპონესის ოცდაშვიდწლიანმა ომმა და მისმა შედეგებმა-ზნედაცემულობამ, ტირანიამ და ეკონომიკის ნგრევამ უმძიმესი ლახვარი ჩასცა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს, მაგრამ პოლისის საფუძვლების შერყევასა და მოშლაში მთავარი ბრალი მიუძღვის სამ საზროვნო ნაკადს, სამ იდეოლოგიას: ორფიკულ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებას, ნატურფილოსოფიას და სოფისტურ მოძრაობას. მართალია ბერძნულ პოლისებს სასიკვდილო ლახვარი ფილიპემ და ალექსანდრე მაკედონელებმა ჩასცეს, მაგრამ მათ მხოლოდ შეურალებლად დაასრულეს დაცემის ის პროცესი, რომელიც ნახსენები იდეოლოგიური მიზეზებით კაი ხნის დაწყებული იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

არისტოტელე. (1964). „მეტაფიზიკა“, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

კასირერი, ე. (1983). რა არის ადამიანი, თბილისი: გამომცემლობა ,,განათლება“.

პლატონი. (1997). ადრეული დიალოგები, თბილისი: გამომცემლობა ,,ნეკერი“.

პლატონი. (1994). ,,ტიმეოსი“, თბილისი: გამომცემლობა „ირმისა“.

პლატონი.(2003).,,სახელმწიფო“,თბილისი:გამომცემლობა ,,ნეკერი“.

გათრი, უ. (1983). ბერძენი ფილოსოფოსები,თბილისი:გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“.

ვალერი, პ. (1983). რჩეული პროზა, თბილისი: გამომცემლობა ,,ნაკადული“.

Рассел, Б. (1998). Мудрост запада, Москва: Издательство ,,Академический проект“.

Тойнби, А. (1990). Постижение истории, Москва: Издательство „Прогрес.“

Ксенофан. (1999) Античная лирика, Москва:Издательство „Дело.“

Ковнер, С. (1978). Историа медицини, Киев: Издательство „Украинская энциклопедия“.

Лосев, А. (1977). Платон,Москва:Издателство ,,Дело“.

Строик, Д. (1984). Краткий очерк истории математики, Москва: Издательство „Академический проект“.

Фукидид. (2022). История, Москва: Издательство ,,АСТ“.

Гейзенберг,В. (1963). Физика и философиа, Москва: Издательство „Дело“.

REFERENCE:

Cassirer E., (1983). What is the Human, Tbilisi: „Ganatleba" publishing.

Plato, (1994). "Timaeus", Tbilisi: "Irmisa" publishing.

Plato, (2003). "The Republic", Tbilisi: "Nekeri" publishing.

Plato, (1997). Early Dialogues, Tbilisi: "Nekeri" publishing.

Aristotle, (1964). "Metaphysics", Tbilisi: "Soviet Georgia" publishing.

Valeri, P. (1983). Selected Prose, Tbilisi: "Nakaduli" publishing.

Guthrie, W. (1983). Greek Philosophers, Tbilisi: "Soviet Georgia" publishing.

Kovner, S. (1978). Istorija mediciny, Kiev: Izdatel'stvo „Ukrainskaja jenciklopedija"

Losev,A. (1977). Platon, Moskva: Izdatel'stvo „Delo".

Stroik,D.(1984). Kratkij ocherk istorii matematiki, Moskva: Izdatel'stvo „Akademicheskij proekt".

Gajzenberg, V. (1963).Fizika i filosofija, Moskva: Izdatel'stvo „Delo".

Fukidid, (2022). Istorija, Moskva: Izdatel'stvo „AST".

Rassel, B .(1998). Mudrost' zapada, Moskva: Izdatel'stvo "Akademicheskij Proekt".

Tojnbi, A. (1990). Postizhenie istorii, Moskva: Izdatel'stvo „Progres".

Ksenofan. (1999). Antichnaja lirika, Moskva: Izdatel'stvo „Delo".